

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საგრანტო პროექტი # 68

წყლისა და ბუნებრივი აირის რაციონალური მოხმარების SCADA სისტემა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის

დასკვნითი ანგარიში

თბილისი – 2014

პროექტის შემსრულებლები:

ნ.ნაცვლიშვილი – პროექტის ხელმძღვანელი

ლ. იმნაიშვილი – ძირითადი შემსრულებელი

დ.ჯაფარიძე – ძირითადი შემსრულებელი

თ.მუსელიანი – ძირითადი შემსრულებელი

ი.კლიმაშვილი – ძირითადი შემსრულებელი

სარჩევი

შესავალი.....	4
1. წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების SCADA სისტემის ეფექტურობა...	6
2. წყლისა და ბუნებრივი აირის რაციონალური მოხმარების SCADA სისტემის აგების კონცეფცია.....	17
3. სტუ-ს წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის ზოგადი აღწერა.....	23
4. სტუ-ს წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის სტრუქტურა.....	27
5. სტუ-ს წყლის მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის არქიტექტურა.....	33
6. SCADA პროგრამული პაკეტის აგების კონცეფცია.....	40
დანართი 1. წყლის მრიცხველი BMX	49
დანართი 2. წყლის მრიცხველი СКВИ.....	52
დანართი 3. იმპულსების მთვლეელი – რეგისტრატორი.....	53
დანართი 4. ადაპტერი RS-485/ Ethernet ADAM-4571.....	74
დანართი 5. წყლის ორსვლიანი რეგულირებადი კლაპანი RV113.....	76
დანართი 6. წყლის ორსვლიანი რეგულირებადი კლაპანი RV103, RV102.....	80
დანართი 7. პროპორციული მართვის ამძრავები RV102, RV103, RV113 კლაპანებისათვის.....	82
დანართი 8. ანალოგური სიგნალების გამომტანი მოდული ADAM-4024.....	101

შესავალი

წყლის და ბუნებრივი აირის მუდმივი გაძვირება მოითხოვს მათი დაზოგვითი ღონისძიებების გატარებას. წყლისა და ბუნებრივი აირის გამოყენების ეფექტურობის ამაღლება და შესაბამისად მოხმარებელი რესურსების ღირებულების შემცირება ყველა საბიუჯეტო და კომერციული ორგანიზაციისათვის, მათ შორის სტუსათვისაც, წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში 2011 წელს სასმელი წყლის გადასახადმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 664 976 ლარი, ხოლო 2012 წელს 1071213 ლარი. ამასთან 2013 წლის გადასახადმა შეადგინა შესაბამისად იანვრის თვეში-67789 ლარი, თებერვალში - 64385 ლარი, მარტში 75870 ლარი, აპრილში-110898 ლარი, ანუ 2013 წელსაც მოსალოდნელია გადასახადმა წყალზე გადააჭარბოს 1 მლნ ლარს . ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გადასახადმა შეადგინა 2011 წელს - 327816 ლარი, 2012 წელს - 349742 ლარი. იკვეთება გადასახადების ზრდის ტენდენცია, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორის მოქმედებით. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში მომხმარებელთა რაოდენობა არ შეცვლილა.

ანალოგიური ვითარება იყო ელექტროენერჯის გადასახადების მიმართაც. 2011 წელს გადასახადმა ელექტროენერჯიაზე შეადგინა 694248 ლარი, ხოლო 2012 წელს - 751610 ლარი. თუმცა ამ სფეროში SCADA (Supervisory Control And Data Acquisition - მონაცემთა მოგროვება და დისპეტჩერული მართვა) სისტემის გამოყენებამ მოაწესრიგა აღრიცხვიანობა სტუ-ს გარე მომხმარებლებთან, რამაც საშუალება მოგვცა 2012 წელს მათგან ამოგვეღო 300 000 ლარზე მეტი.

სასმელი წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარებაში არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზი მრავალია, მაგრამ მათგან უმთავრესია რესურსების აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, ხარჯვის არამიზნობრიობა და მისი მართვის არ არსებობა. წყლისა და ბუნებრივი აირის რესურსების ხარჯვის მართვაში მოიაზრება რესურსების მომხმარებლებზე მიწოდების მოცულობის მართვა ან სრულად შეწყვეტა, როცა მისი მიწოდების საჭიროება არ არის.

დასმული პრობლემის გადაწყვეტისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მოხმარებული რესურსების ზუსტი აღრიცხვა და მოხმარების მართვა კომპიუტერული სისტემების გამოყენებით.

წყლისა და ბუნებრივი აირის მომხმარებლებზე მიწოდების ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაცია მკვეთრად ამაღლებს რესურსის მოხმარების მიზნობრიობას და ამცირებს მატერიალურ დანახარჯებს. წყალმომარაგების და გაზომომარაგების

სისტემებთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაცია იწვევს რესურსების მომჭირნეობით მოხმარებასაც, რაც ფრიად მნიშვნელოვანია წყლის სულ უფრო მზარდი დეფიციტის და ბუნებრივი აირის გაძვირების პირობებში.

დღეისათვის, წყლისა და ბუნებრივი აირის მსხვილ მომხმარებლებში აღრიცხვის პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია რესურსების მოხმარების კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის შექმნასთან, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ადამიანის ჩარევა გაზომვის სისტემებში.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ წყლის და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემის გამოყენებით მიიღწევა საშუალოდ რესურსების წლიური მოხმარების 10 - 15% -ით ეკონომია, ხოლო მის შექმნაზე დახარჯული თანხა ანაზღაურდება 2-3 კვარტლის განმავლობაში.

წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგისა და მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის მიზანია მინიმალური საწყისი ფულადი დანახარჯებით ორგანიზაციაში და კონკრეტულად სტუ-ში წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგი და მართვა, და აქედან გამომდინარე ფინანსების მუდმივი ეკონომია.

მატერიალური დანახარჯების, პროექტის რეალიზაციის დროის და საექსპლუატაციო დანახარჯების შემცირების, საიმედოობის ამაღლების მიზნით მიკროპროცესორული საკონტროლო-გამზომი მოწყობილობების სტანდარტიზაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე დღეისათვის უპრიანია წყალმომარაგების და გაზომომარაგების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია SCADA სისტემების გამოყენებით.


SCADA სისტემა გულისხმობს მონიტორინგისა და მმართველი კომპონენტების გაშლას დიდ ტერიტორიაზე მუდმივი ენერგომომარაგების პირობებში. წყალმომარაგების და აირმომარაგების SCADA სისტემის ძირითადი დამახასიათებელი თვისება, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა ტრადიციული SCADA სისტემებისაგან, არის მისი კომპონენტების მუდმივი ენერგომომარაგების უზრუნველყოფის სირთულე. ამდენად, ამ ტექნოლოგიებისათვის SCADA სისტემის სინთეზის მეთოდოლოგია, განსხვავებით ელექტროენერგეტიკაში გამოყენებული SCADA სისტემისაგან, არის უფრო რთული და რეალიზებული პროდუქტი უფრო ძვირი. სიტუაციას ართულებს ის მომენტიც, რომ მისი მომსახურება ჩვენ რეალობაზე უნდა იყოს მორგებული, რაც გულისხმობს მომსახურე პერსონალის დაბალ კვალიფიკაციას და დაბალ საშემსრულებლო დისციპლინას.

აღნიშნული SCADA სისტემა მისი ძირითადი დანიშნულების გარდა, გამოყენებადი უნდა იყოს აგრეთვე სტუ-ს შესაბამისი პროფილის (ინფორმატიკისა და მართვის სიტემების და სამშენებლო ფაკულტეტის) ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებისას.

ამდენად, პროექტის მიზნებს წარმოადგენს დასმული პრობლემის SCADA სისტემის გამოყენებით გადაჭრის მეთოდოლოგიის შექმნა ორგანიზაციისათვის და კონკრეტულად სტუ-სათვის წყლისა და აირმომარაგების SCADA სისტემის პროექტის შექმნა და მისი განხორციელების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

1. წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების SCADA სისტემის ეფექტურობა


2013 წელს სტუ-ს სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსების მიხედვით მოხმარებული წყლის რაოდენობა მოყვანილია სამეურნეო სამსახურის მიერ შედგენილ ცხრილში, რომლის შესაბამისად აგებული გრაფიკიდან ნათლად ჩანს წყლის ხარჯების უთანაბრობა თვეების განმავლობაში, რაც გამოწვეულია სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით, როგორცაა, მაგალითად, სტუდენტების რაოდენობის ცვლილება, ჩატარებული სამეცნიერო საინჟინრო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა, მილსადენების და სანიტარული არმატურის დაზიანებებისა და შესაბამისად დანაკარგების რაოდენობის სიხშირე და სხვ.



ნახ.1. სტუ-ში მოხმარებული წყლის მოცულობა 2013 წელს თვეების მიხედვით

სასმელი წყალზე ფინანსური დანახარჯების წლიური სიდიდე – 992587 ლარი (218365 კუბ.მ) საკმაოდ მნიშვნელოვანი სიდიდეა უნივერსიტეტის ბიუჯეტისათვის. მისი შემცირებისათვის აუცილებელია შემუშავდეს სტრატეგია. ამ თვალსაზრისით მომავალში ჩასატარებელი ყველა ტექნიკური ღონისძიება უდაოდ ეფექტური უნდა იყოს. მონაცემებიდან ჩანს მნიშვნელოვანი უთანაბრობა, რომლის მაქსიმალური სიდიდე თვეების მიხედვით შეადგენს 1,65-ს.

უმთავრესი საკითხია აღრიცხვიანობის მოწესრიგება და კორპუსების მიხედვით გამრიცხველიანების პროცესის დაწყება. სტუ-ს სამეურნეო განყოფილების მიერ დასახულია სამოქმედო გეგმა სტუ-ში წყლის აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და მოხმარების სიდიდის შემცირების შესახებ. ანალიზისათვის, ამ მხრივ სამეურნეო სამსახურმა ჩაატარა არსებულ წყალსაზომზე (აბონენტის # 751004975, რომელიც ემსახურება ადმინისტრაციულ კორპუსს), ყოველდღიური ანათვლების აღება 2013 წლის 1 აგვისტოდან 2014 წლის თებერვლამდე. მონაცემების გრაფიკი მოტანილია ნახ. 2-ზე.



ნახ.2. სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის წყლის დღეღამური მოხმარება (02.08.13–31.01.14)

ფაქტიურმა დღეღამურმა ხარჯმა საშუალოდ შეადგინა 155,5 კუბ.მ. აქაც, გრაფიკიდან აშკარაა საშუალოდანი გადახრების ცვალებადობა. მაქსიმალური უთანაბრობის კოეფიციენტი აღემატება 2,22. რაოდენობრივად წყლის ხარჯი დღეღამეში იცვლებოდა 34–დან 243 კუბ.მ–დე. ასეთი მკვეთი უთანაბრობა შესაძლოა გამოწვეული იყოს დაწნევების ცვალებადობით დღეღამურ ჭრილში. სხვა შემთხვევაში დაკვირვების პერიოდში ხარჯები უფრო სტაბილური და ერთგვაროვანი უნდა იყოს. აშკარაა ხარჯებისა და დაწნევების სინქრონულად გაზომვისა და რეგულირების აუცილებლობა.

ანალოგიური ხასიათის შეხედულებები წარმოდგენილი იყო 2011 წლის სტუ-ს საგრანტო პროექტ # 67 –ში „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრო- და წყალმომარაგების სისტემების მუშაობის ანალიზი და მისი ოპტიმალური მენეჯმენტის მოდელის შემუშავება“, სადაც პირველად დაისვა საკითხი სასმელი წყლის მოხმარების მონიტორინგის ელექტრონული სისტემით ჩატარების შესახებ.

სტუ-ს სამეურნეო სამსახურის მონაცემებით გამრიცხველიანებისათვის საჭირო ჩვეულებრივი (იმპულსური გადამწოდის გარეშე) წყალსაზომების რაოდენობა დიამეტრების მიხედვით შეადგენს (ცხრ.1):


ცხრილი 1

დიამეტრი, მმ	80	40	32	20	15
რაოდენობა, ცალი	3	3	4	15	32

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის **SCADA** სისტემის დანერგვისას წარმოდგენილი რაოდენობები გაიზრდება, ვინაიდან სისტემამ უნდა მოიცვას ყველა მომხმარებლის ხარჯები დიფერენცირებულად.

უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კორპუსის სასმელი წყლის წლიური ხარჯების მხოლოდ 15– 20 %-ით შემცირება (**SCADA** სისტემის დანერგვის გამო), გამოიწვევს ბიუჯეტის ფინანსურ დანაზოგს 200 ათ.ლარის ფარგლებში. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ **SCADA** სისტემის დანერგვაზე დანახარჯები სავარაუდოდ არ აღემატება 150 ათ. ლარს, რაც ნიშნავს, რომ დანაზოგი იქნება იმავე წელს და მოგება კი ყოველ შემდგომ წლებში.

მნიშვნელოვანი დანახარჯებია სტუ-ში გაზიფიცირებული ობიექტების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ხარჯების მიხედვითაც. გათბობის სეზონზე მოხმარებული ბუნებრივი აირის სიდიდეები წლების (2007 – 2013) მიხედვით მოყვანილია გრაფიკზე (ნახ.3).



ნახ.3. სტუ-ში მოხმარებული აირი 2007-2013 წლებში


სასმელი წყლის მოხმარებასთან შედარებით აქ სტაბილური მდგომარეობაა. უთანაბრობა წლების მიხედვით 1,38 -ია, რაც ადვილად ასახსნელია სხვადასხვა წლებში დამატებით რიგი ობიექტების ჩართვის გამო. აქ დანაკარგები პრაქტიკულად არ არის.

მოცემული პროექტის ძირითადი შედეგებია:

- ორგანიზაციის წყალ- და აირმომარაგების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის აგების მეთოდოლოგია, რომელიც მორგებულია საქართველოს რეალობაზე (ორგანიზაციის წყალ- და აირმომარაგების სტანდარტების და გამოყენებული ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის სტანდარტების გათვალისწინებით, იქნება ექსპლუატაციისათვის მისაღები, ტექნიკურად და ღირებულებით).
- ორგანიზაციის წყალ- და აირმომარაგების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის აგების მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს მინიმუმამდე დავიყვანოთ ორგანიზაციისათვის SCADA სისტემის პროექტირებისა და განხორციელების სამუშაოები, კონკრეტული ორგანიზაციისათვის აღარ არის საჭირო კვლევითი სამუშაოების ჩატარება.
- სტუ-ს წყალ- და აირმომარაგების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის პროექტი და პროექტის განხორციელების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.


სტუ-ში წყალ- და აირმომარაგების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის განხორციელება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების ოპტიმიზაცია, რაც ფინანსურად სავარაუდოდ წყლის მიმართულებით მოგვცემს 10-15% ეკონომიას, ხოლო ბუნებრივი აირის მიმართულებით საშუალოდ 10% ეკონომიას.

ზოგადად SCADA სისტემის ეფექტურობის სადემონსტრაციოდ მოვიტანთ SCADA აღჭურვილობის მწარმოებელი კომპანია CAREL-ის მონაცემებს, რომლის თანახმად შენობის საინჟინრო აღჭურვაზე დანახარჯების გადანაწილებას აქვს ნახ. 3-ზე მოცემული ხასიათი.



ნახ. 4 „ჩვეულებრივი“ შენობის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ხარჯების გადანაწილება

მაგრამ, შენობას თუ აღჭურვავეთ SCADA სისტემით, მაშინ დანახარჯების გადანაწილებას ექნება ნახ. 5-ზე ნაჩვენები სახე.



ნახ. 5. SCADA სისტემით აღჭურვილი შენობის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ხარჯების გადანაწილება

როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვნად მცირდება შენობის საექსპლუატაციო ხარჯები, რაც დაკავშირებულია დანაკარგების შემცირებასთან და შესაძლო ავარიული სიტუაციის პრევენციასთან. ცხადია, ასევე მცირდება ხარჯები რესურსების მოხმარებაზე, რაც დაკავშირებულია რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასთან. რესურსების ხარჯვის მონიტორინგის გარეშე, რომელიც ხორციელდება უწყვეტ ავტომატურ რეჟიმში, ხარჯვის კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია. დახარჯული რესურსების შესახებ ჩვენ ვიგებთ წყლისა ან ბუნებრივი აირის მრიცხველის ჩვენების აღების შემდეგ, რომლის კონტროლი თუნდაც ყოველდღიურად პრაქტიკულად შეუძლებელია და თან დაკავშირებულია მატერიალურ დანახარჯებთან.

წყლის ეფექტური მოხმარების მიდგომებისა და მეთოდების შესწავლა. წყლის ეფექტური მოხმარების ამაღლება აუცილებლად შედის „მწვანე“ მშენებლობის ნებისმიერ სტანდარტში. ამ სტანდარტების კონკრეტული რეკომენდაციების გათვალისწინება საშუალებას იძლევა წყლის მომჭირნობით ხარჯვაში მიღწეული იქნას მნიშვნელოვანი შედეგები. ასეთი კონკრეტული რეკომენდაციები მრავლადაა ამერიკულ სტანდარტში - *LEED USGBC (Leadership in Energy and Environment Development)* - სახელმძღვანელო ენერგეტიკულად ეფექტურ და ეკოლოგიურად სუფთა პროექტირებისათვის.

განვიხილოთ *LEED* სტანდარტის რეკომენდაციათა კატეგორიები, რომლებიც ხელს უწყობენ წყლის ეფექტურ გამოყენებას.

წყლის მოხმარების შემცირების ღონისძიებანი (აუცილებელი მოთხოვნა).

მიზანი: გამოყენებული იქნას ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც შეუძლია შეამციროს წყლის მოხმარება 20%-მდე ტიპიურ გადაწყვეტებთან შედარებით, რაც გულისხმობს:

- ყოველ მომხმარებელთან წყლის აღრიცხვის კვანძის უზრუნველყოფა
- ორმაგი ჩარეცხვის (დიდ ჩარეცხვაზე 6 ლიტრი და მცირე ჩარეცხვაზე - 2 ლიტრი) უნიტაზების გამოყენება
- სენსორული ხელსაწყოების და წყლის ნაკადის შემზღვევების დაყენება
- აერაციის გამოყენება-გამფრქვევების გამოყენება ნიჟარებთან და საშხაპეში, რომელიც ამაღლებს ნაკადის დასველების ეფექტს და ამაღლებს წყლის ეფექტურ გამოყენებას

წყლის ეფექტური გამოყენება ლადშაფტში.

მიზანი: ნაკვეთის მორწყვაზე დანახარჯების შემცირება 50%-ით სტანდარტულ საზაფხულო მნიშვნელობასთან შედარებით, რომელიც გულისხმობს:

- დარგული უნდა იქნას მცენარეთა ის ჯიშები, რომლებიც შეგუებული არიან ადგილობრივ კლიმატთან და მოითხოვენ მინიმალურ მორწყვას
- მორწყვისათვის „ნედლი“ და გაწმენდილი წვიმის წყლის გამოყენება
- მორწყვის ეფექტური სისტემების გამოყენება

ჩამდინარე წყლების გადამუშავების (გაწმენდის) ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება.

მიზანი: უტილიზებული იქნას არა ნაკლებ 50% ჩამდინარე წყალი - მოხდეს მათი გაწმენდა და ხელმეორედ გამოყენება, რაც გულისხმობს:

- წყლის მცირე მოხმარების უნიტაზების, საშხაპე თავაკების და ონკანების გამოყენება.
- ნიჟარებიდან, საშხაპედან და აბაზანიდან გასული წყლის 50%-ის გაწმენდა და გამოყენება უნიტაზის საჭიროებისათვის ან მორწყვისათვის

წყლის მოხმარების კომპლექსური შემცირება.

მიზანი: სტიმულირებული იქნას შენობის შიგნით წყლის მოხმარების შემცირების კომპლექსური სტრატეგიების გამოყენება.

წყლის მიღებული ეკონომიის დონის (ტიპიურ გადაწყვეტებთან შედარებით) შესაბამისობა წამახალისებელ ბალებთან (ცხრ. 2).

ცხრილი 2

ეკონომიის პროცენტი	ბალები
30%	2
35%	3
40%	4

გათვლებისას გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი ხელსაწყოების (თუ არიან პროექტში) მონაცემები: ტუალეტები, პირსაბანები, საშხაპეები, აბაზანები, სამზარეულოს ნიჟარები.


წყლის გონივრული გამოყენების რეკომენდაციები:

- გამოსასწორეთ ან გამოცვალეთ ყველა მჟონავი ონკანი. გაუმართავ ონკანს შეუძლია დღე-ღამეში დაღვაროს 200 ლიტრამდე წყალი. ეცადეთ ონკანი დაკეტოთ ბოლომდე.
- ბერკეტისანი შემრეველები უფრო სწრაფად მოქმედებენ, ვიდრე ორ ონკანიანი შემრეველები. შესაბამისად, საჭირო ტემპერატურის მიღებაზე „ტყუილად“ უფრო მცირე წყალი იხარჯება
- ორმაგი ჩამრეცხის უნიტაზები უფრო ეკონომიურად მოიხმარენ წყალს

- ონკანებზე დამაგრებული გამაფრქვევლები ამცირებენ წყლის მოხმარებას
- სხვა ყოფითი რეკომენდაციები, რომლებიც განკუთვნილი არიან მოხმარებლებისათვის.

წყლის მოხმარების რეგულიატორები - «Neoperl»

მუშაობის პრინციპი (ნახ.6). წყლის მოხმარების რეგულიატორის კონსტრუქცია ისეა აგებული, რომ წყალი გაედინება ვარსკლავურასა და ელასტიურ რგოლს შორის.



ონკანის გაღებისას, წნევის ზრდასთან ერთად სისტემაში, რგოლი გაიხსნება და ფარავს ვარსკლავურას, თანაბრად ამცირებს რა მათ შორის არსებულ ხერხელს. ონკანის დაკეტვისას შეიმჩნევა უკუპროცესი. რგოლის ელასტიურობა და კონსტრუქციების ზომები ისეა გათვლილი, რომ საშუალებას იძლევა შენარჩუნებული იქნას წყლის ხარჯვის ფიქსირებული დონე, წყლის წნევის ცვალებადობის მიუხედავად.

ნახ. 6. რეგულიატორის მუშაობის პრინციპი

ვარსკლავურასა და რგოლს შორის გამავალი წყლის ნაკადის სიჩქარე იზრდება ხერხელის შემცირებისას, რასაც აქვს წყლის მძლავრი ნაკადის


ვიზუალური და ფსიქოლოგიური ეფექტი.

უპირატესობანი.

- ჰაერატორის სტანდარტული ზომა
- მონტაჟის სიმარტივე
- წყლის ხარჯვის თანაბრობის უზრუნველყოფა სისტემაში წნევისაგან დამოუკიდებლად
- წყლის კომფორტული ნაკადის უზრუნველყოფა ჰიდროდარტემების გარეშე
- წყლის წნევის გათანაბრება შენობის წყალმომარაგების სისტემაში

წყლის ხარჯვის რეგულიატორი იწარმოება გერმანიაში. მისი მუშაობის ხარგრძლივობა არის 5 წელი.

რეგულიატორის მუშაობის ეფექტურობა ნაჩვენებია ნახ.7–ზე



ნახ.7. წყლის რეგულიატორის ეფექტურობა

წყლის მოხმარების გათვლები კომუნალურ სექტორში

- ბინაში მცხოვრები პირთა რაოდენობა –3
- წყლით სარგებლობის საშუალო ხანგრძლივობა (წუთი დღეში ადამიანზე) – პირსაბანი–6, შხაპი–8, ტუალეტი–3.

რეგულიატორის დამონტაჟებამდე

პოზიცია	პირსაბანი	შხაპი	ტუალეტი
წყლის საშუალო ხარჯი (წუთში ლიტრი ერთჯერადად)	10	14	10
საშუალო დღე–ღამური მოხმარება (ლიტრი)	180	336	90
საშუალო წლიური მოხმარება (მ.კუბ)	65,7	122,6	32,85

რეგულიატორის დამონტაჟების შემდგომ

პოზიცია	პირსაბანი	შხაპი	ტუალეტი
წყლის საშუალო ხარჯი (წუთში ლიტრი ერთჯერადად)	10	10	10
საშუალო დღე-ღამური მოხმარება (ლიტრი)	108	240	90
საშუალო წლიური მოხმარება (მ.კუბ)	39,42	87,6	32,85

როგორც ვხედავთ, წყლის ეკონომია თვალსაჩინოა.

წყლის დაზოგვის პოტენციალის გათვლა სოციალურ სფეროში (სკოლა, საავადმყოფო და ა.შ.)

- ერთ დაწესებულებაში საშუალო დღე-ღამური ადამიანთა რაოდენობა – 100
- წყლით სარგებლობის საშუალო ხანგრძლივობა (წუთი დღეში ადამიანზე) – პირსაბანი-2, შხაპი-1, ტუალეტი-1.

რეგულიატორის დამონტაჟებამდე

პოზიცია	პირსაბანი	შხაპი	ტუალეტი
წყლის საშუალო ხარჯი (წუთში ლიტრი ერთჯერადად)	10	14	10
საშუალო დღე-ღამური მოხმარება (ლიტრი)	2000	1400	1000
საშუალო წლიური მოხმარება (მ.კუბ)	730	511	365

რეგულიატორის დამონტაჟების შემდეგ

პოზიცია	პირსაბანი	შხაპი	ტუალეტი
წყლის საშუალო ხარჯი (წუთში ლიტრი ერთჯერადად)	6	10	10
საშუალო დღე-ღამური მოხმარება (ლიტრი)	1200	1000	1000
საშუალო წლიური მოხმარება (მ.კუბ)	435	365	365

ამდენად, წყლის მოხმარების ეკონომიამ წელიწადში 100 მომხმარებლის შემთხვევაში შეადგინა 441 მ.კუბ.

წყლისა და ბუნებრივი აირის დაზოგვითი ღონისძიების გატარება ყველა ორგანიზაციის და დაწესებულების პრობლემაა, იქნება ეს საბიუჯეტო, თუ კომერციული. ჩვენს მიერ შემუშავებული სისტემის პოტენციურ მომხმარებლებად, პირველ რიგში, განხილულნი უნდა იქნან წყლისა და ბუნებრივი აირის მსხვილი მომხმარებლები, რომელთათვისაც სისტემის განხორციელებაზე დანახარჯები დაიფარება 6–9 თვის განმავლობაში რესურსების ეკონომიის ხარჯზე. სისტემის მომხმარებლებად უნდა განვიხილოთ აგრეთვე ფართომასშტაბიანი სასწავლო დაწესებულებებიც.

ზოგადად რესურსების SCADA სისტემის ეფექტურობაზე საუბრისას მაგალითის სახით შეიძლება მოტანილი იქნას სტუ–ში 2010 წელს განხორციელებული ენერგომომარაგების SCADA სისტემა, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვემცირებინა ელექტროენერჯის მოხმარება. ამასთან აღნიშნული სისტემა აქტიურად გამოიყენება სასწავლო მიზნით მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისტემის მიზნები არ ყოფილა ელექტროენერჯის ხარისხის კონტროლი, იგი ამავდროულად წარმატებით გამოიყენება ამ მიზნითაც.

მოცემულ პროექტში მიღებული შედეგები გამოყენებადია SCADA სისტემის მწარმოებელი ნებისმიერი კომპანიისათვის (მათ შორის სტუ–თვისაც), რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფილით საქმიანობის გამოცდილება. სისტემის განხორციელება დაკავშირებულია ინფორმატიკის, ავტომატიზაციის და მექანიკის დარგებთან. მისი წარმოება არ მოითხოვს რთულ ტექნოლოგიურ დანადგარებს. თავისი პროფილით ასეთ საქმიანობასთან ყველაზე ახლოსაა სტუ–ს სამეცნიერო–საწარმოო გაერთიანება „ანალიტიკური ხელსაწყო“. მოცემულ მომენტში საქართველოს ბაზარზე მსგავსი პროდუქტით არაა წარმოდგენილი არცერთი საწარმო.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდში“ (თბილისის წყალი) ნაწილობრივ არის დანერგილი SCADA სისტემის ფრაგმენტები, მაგრამ აღნიშნული საწარმო არის პროდუქციის მწარმოებელი, ჩვენ კი მოცემულ პროექტში განვიხილავთ წყლის და ბუნებრივი აირის მომხმარებლებს, ანუ პრინციპიალურად არის განსხვავებული მიდგომები, მეთოდები და საშუალებები. რაც შეეხება ბუნებრივი აირის სფეროს, მსგავსი სისტემები არ არის არც მწარმოებლებთან (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სს ”ყაზტრანსგაზს“) და არც მომხმარებლებთან.

პროექტის ძლიერი მხარეებია:

- მოხმარებულ წყალზე და ბუნებრივ აირზე მუდმივი მონიტორინგი ავტომატურ რეჟიმში.
- წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მართვა.
- წყლისა და ბუნებრივი აირის მიწოდების რეგულირება წინასწარ შემუშავებული პროგრამით.
- მეორადი მოხმარებლების (არსებობის შემთხვევაში) მიერ მოხმარებული წყლისა და ბუნებრივი აირის მკაცრ კონტროლზე აყვანა.
- წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე დანახარჯების შემცირება.

პროექტის სუსტი მხარეებია:

- ერთჯერადი დანახარჯები სისტემის განხორციელებაზე.
- სისტემის გამოყენების და მომსახურების არატრადიციულობა (მოითხოვს პერსონალის გარკვეულ ტრეინინგს).
- სისტემა ენერგოდამოკიდებულია.

2. წყლისა და ბუნებრივი აირის რაციონალური მოხმარების SCADA სისტემის აგების კონცეფცია

პროექტის მიზანია სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა:

- წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგი SCADA სისტემის საშუალებით;
- წყლის მოხმარების მართვა SCADA სისტემის საშუალებით;
- წყლის ოპტიმალური მოხმარების მართვის ალგორითმების დამუშავება SCADA სისტემისათვის.

ამდენად პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს სტუ-ს წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების SCADA სისტემის არქიტექტურის დამუშავება და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

SCADA სისტემები. ძირითადი განმარტებები და კლასიფიკაცია. დისპეტჩერული მართვისა და მონიტორინგის სისტემა SCADA (Supervisory Control And Data Acquisition) დღესდღეობით წარმოადგენს რთული დინამიური პროცესების მართვის ყველაზე ეფექტურ, პერსპექტიულ საშუალებას. სწორედ დისპეტჩერული მართვის პრინციპებზე იგება მსხვილი ავტომატიზირებული სისტემები და საწარმოები ენერგეტიკაში,

მანქანათმშენებლობაში, კოსმიურ და სამხედრო სფეროებში, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. SCADA სისტემები გამოიყენება უსაფრთხოებისა და საიმედოობის მხრივ ყველაზე კრიტიკულ და სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროებში.

SCADA არის დროის რეალურ რეჟიმში დაშორებული წერტილიდან ინფორმაციის ამოკითხვის პროცესი დამუშავების, ანალიზისა და დაშორებული ობიექტის მართვის მიზნით.

ტრადიციულად SCADA სისტემა არ გულისხმობდა რეალურ დროში მართვას. თუმცა ტექნოლოგიების განვითარებამ დღეისათვის შესაძლებელი გახადა მართვა რეალური დროის რეჟიმში. ამ დროს დისპეტჩერს (ამ შემთხვევაში ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორს) გაცილებით მეტი დრო რჩება გადაწყვეტილებების მისაღებათ ამა თუ იმ ობიექტზე სამართავი ზემოქმედებისათვის.


რეალურ დროში მუშაობაზე მოთხოვნა ასევე განპირობებულია ოპერატორის (დისპეტჩერის) ცენტრალურ ინტერფეისზე ყველა საჭირო მონაცემისა და მოვლენის დაფიქსირების აუცილებლობით.

SCADA სისტემა არ გულისხმობს, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ტექნოლოგიური პროცესის მართვა. ამ სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ მონიტორინგის განხორციელება. მაგალითად SCADA სისტემას გარემოს დაცვის სფეროში შეიძლება დავაკისროთ მონიტორინგი და არავითარ მართვას არ ჰქონდეს ადგილი. აქ შეიძლება იყოს ტემპერატურული მონიტორინგი, მიწისძვრის მონიტორინგი და ა. შ.

ტერმინს „SCADA“ დღეისათვის გააჩნია ორაზროვანი მნიშვნელობა. ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ SCADA არის გამოყენებითი მოდული, ანუ პროგრამული კომპლექსი ინსტრუმენტული საშუალებებით, რომელიც უზრუნველყოფს მითითებული ფუნქციების შესრულებას. თუმცა ხშირად ტერმინში „SCADA“ გულისხმობენ პროგრამულ-აპარატურულ კომპლექსსაც.

SCADA სისტემა არ არის ჩვეულებრივი კომპიუტერული ქსელი. ეს არის ე.წ. განაწილებული კომპიუტერული სისტემა (DCS - Distributed Control System). დღესდღეობით ტექნოლოგიების განვითარების გამო თანდათან იშლება საზღვრები ჩვეულებრივ კომპიუტერულ ქსელებსა და განაწილებულ კომპიუტერულ სისტემებს შორის. ეს ორი დანაყოფი თანდათან ახლოვდება და 3-4 წელიწადში უკვე მოსალოდნელია მათი შერწყმა ერთმანეთთან.

SCADA სისტემის ძირითადი სტრუქტურა. ყველა თანამედროვე SCADA სისტემა შეიცავს სამ ძირითად სტრუქტურულ კომპონენტს (ნახ.8):



ნახ.8. SCADA სისტემის ძირითადი სტრუქტურული კომპონენტები

Remote Terminal Unit (RTU) - დაშორებული ტერმინალი, რომელიც ახორციელებს ამოცანების დამუშავებას (მართვას) დროის რეალურ რეჟიმში. დაშორებული ტერმინალის რეალიზაციის სპექტრი ფართოა, მონაცემთა მარტივი მიმღებებიდან დაწყებული, რომლებიც ახორციელებენ მონაცემთა ამოკითხვას დაშორებული ობიექტიდან, მრავალპროცესორული სპეციალიზირებული გამომთვლელი კომპლექსებით დამთავრებული, რომლებიც ახორციელებენ ობიექტის მართვით ქმედებებს მკაცრად განსაზღვრული რეალური დროის რეჟიმში. დაშორებული ტერმინალის კონკრეტული რეალიზაცია განპირობებულია მისი კონკრეტული გამოყენებით.


Master Terminal Unit (MTU) - მართვის დისპეტჩერული პუნქტი ანუ მთავარი ტერმინალი, რომელიც ახორციელებს მაღალი დონის მართვასა და მონაცემთა დამუშავებას „რბილი“ რეალური დროის რეჟიმში. მთავარი ტერმინალის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სამომხმარებლო ინტერფეისის უზრუნველყოფა ადამიან-ოპერატორსა და სისტემას შორის. კონკრეტული სისტემიდან გამომდინარე MTU შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც ერთ კომპიუტერის ბაზაზე, რომელსაც გააჩნია კავშირის არხებთან მიერთების დამატებითი მოწყობილობები, ასევე დიდ გამომთვლელ კომპლექსებზე (მეინფრეიმებზე) და ლოკალურ ქსელში გაერთიანებულ რამოდენიმე კომპიუტერსა და სერვერზე.

Communication System (CS) - კომუნიკაციური სისტემა (კავშირის არხი), რომელიც აუცილებელია დაშორებული ობიექტებიდან მონაცემთა მიღებისათვის და მართვის სიგნალების გადაცემისათვის.

დისპეტჩერი ურთიერთქმედებს მხოლოდ მთავარ ტერმინალთან (MTU). ამ ურთიერთობის შედეგი კავშირის არხის მეშვეობით გადაეცემა დაშორებულ ობიექტს (RTU), რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს მართვის ობიექტზე.

SCADA სისტემის ფუნქციური სტრუქტურა. SCADA სისტემაში არსებობს დაშორებული ობიექტის მართვის ორი ტიპი: ავტომატური და ოპერატორის მიერ ინიცირებული ქმედებანი. შედეგად, გამოყოფენ დისპეტჩერული მართვის სისტემების ოთხ ძირითად, აუცილებელ ფუნქციურ კომპონენტს (ნახ.8):

- ადამიანი–ოპერატორი, რომელიც წარმოადგენს SCADA სისტემების საყრდენს. მის გარეშე ეს სისტემები ვერ ფუნქციონირებენ;
- კომპიუტერი ადამიანთან ურთიერთობაში;
- კომპიუტერის (მიკროპროცესორული მოწყობილობის) ურთიერთქმედება ამოცანასთან (ობიექტთან);
- სამართავი ობიექტი, რომელზეც უნდა განხორციელდეს ამოცანა.



ნახ.9. SCADA სისტემის ძირითადი ფუნქციური კომპონენტები

დისპეტჩერული მართვისა და მონიტორინგის SCADA სისტემაში გამოყოფენ ადამიან–ოპერატორის ხუთ ფუნქციას:

- გეგმავს, თუ რომელი მომდევნო მოქმედებების შესრულებაა აუცილებელი;
- „ასწავლის“ (აპროგრამებს) კომპიუტერულ სისტემას შემდგომ მოქმედებებს;
- აკვირდება სისტემის ავტომატური მუშაობის შედეგებს;
- ერევა პროცესებში კრიტიკული მოვლენების დროს, როცა ავტომატიკა ვერ ახდენს ამ მოვლენების აღმოფხვრას, ან როცა აუცილებელია პროცესის პარამეტრების რეგულირება;
- განისწავლება მუშაობის პროცესში (იღებს გამოცდილებას);

მაღზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სისტემის ფუნქციონირების პროცესში ადამიან-ოპერატორი იზრდება პროფესიული თვალსაზრისით, იღებს სამუშაო გამოცდილებას და, შედეგად, მთლიანობაში ვითარდება SCADA სისტემა.

SCADA სისტემის, როგორც მართვის პროცესის თავისებურებები. თანამედროვე დისპეტჩერულ სისტემებში მართვის პროცესს გააჩნია თავისებურებები:

- პროცესი SCADA გამოიყენება ისეთ სისტემებში, სადაც აუცილებელია ადამიანის არსებობა;
- პროცესი SCADA დამუშავებული იქნა ისეთი სისტემებისათვის, სადაც ნებისმიერმა არასწორმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მართვის ობიექტის მტყუნება (დაკარგვა) ან სულაც კატასტროფული შედეგი. ამის საუკეთესო მაგალითია ავიადისპეტჩერული სისტემა. ასეთი სისტემა ისეთნაირად უნდა აიგოს, რომ ავიადისპეტჩერის ერთჯერადი შეცდომა არ აისახოს მთლიანი სისტემის ფუნქციონირებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შეიძლება დასრულდეს კატასტროფით. იგივე ეხება ელექტროსადგურებს, ატომურ სადგურებს, ქიმიურ საწარმოებს და ა. შ. ანუ SCADA სისტემა მაქსიმალურად გამორიცხავს ოპერატორის დაუდევრობით გამოწვეულ შეცდომებს.
- როგორც წესი, ოპერატორი პასუხისმგებელია სისტემის მართვაზე. ნორმალურ პირობებში სისტემა ზოგჯერ მოითხოვს პარამეტრების დაყენებას ოპტიმალური მწარმოებლურობის მისაღწევად;
- მართვის პროცესში ოპერატორის ჩარევა ხდება იშვიათად, როცა დროის არაპროგნოზირებად მომენტებში წარმოიქმნება კრიტიკული მოვლენები (მტყუნებები, არასაშტატო სიტუაციები და ა.შ.).
- კრიტიკულ სიტუაციებში ოპერატორის ქმედებები შესაძლოა მკაცრად იყოს შეზღუდული დროის მიხედვით (რამოდენიმე წუთით ან თუნდაც წამით).

როგორც უკვე ვთქვით, SCADA სისტემებში ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიან-ოპერატორს და მის ამოცანებს. ამიტომ აუცილებელია, რომ სამომხმარებლო ინტერფეისი ადამიან-ოპერატორსა და სისტემას შორის აკმაყოფილებდეს ერგონომიკის ყველა მოთხოვნას. სამომხმარებლო ინტერფეისზე ასახული ინფორმაცია, ყველანაირი პირობითი აღნიშვნა უნდა იყოს წარმოდგენილი ადამიანისათვის გასაგებ ფორმაში. მაგალითად SCADA სისტემაში, რომელიც ახდენს ენერგობიექტების მართვას, სამომხმარებლო ინტერფეისი ისეთნაირად უნდა იყოს აგებული, როგორც ეს მიღებულია ენერგეტიკის სფეროში. ეს ეხება წარმოების სხვა დარგებსაც.

SCADA სისტემების ძირითადი ამოცანები. SCADA სისტემები წყვეტენ შემდეგ ამოცანებს:

- მონაცემთა გაცვლა საწარმოო კონტროლერებსა და შეტანა/გამოტანის მოწყობილობებთან რეალური დროის რეჟიმში დრაივერების მეშვეობით;

- ინფორმაციის დამუშავება რეალური დროის რეჟიმში;
- ინფორმაციის ასახვა მონიტორზე ადამიანისათვის გასაგებ ფორმაში;
- მონაცემთა არქივირება რეალური დროის რეჟიმში;
- ავარიული სიგნალიზაცია და საგანგაშო შეტყობინებების მართვა;
- ანგარიშების მომზადება ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- ქსელური ურთიერთკავშირის დამყარება პერსონალურ კომპიუტერთან;
- კავშირი შიდა გამოყენებით პროცესებთან (მონაცემთა ბაზა, ელექტრონული ცხრილები და ა.შ.).

SCADA სისტემების მეშვეობით შესაძლებელია ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემების დამუშავება კლიენტ-სერვერული ან განაწილებული არქიტექტურით.

ძირითადი მოთხოვნები დისპეტჩერული მართვის სისტემების მიმართ. დისპეტჩერული მართვის SCADA სისტემას წაეყენება შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

სისტემის საიმედოობა (ტექნოლოგიური და ფუნქციური). მთლიანი სისტემის ფუნქციონირებზე არ უნდა აისახოს არც ოპერატორის ერთეულოვანი შეცდომები და არც ერთეულოვანი აპარატურული მტყუნებები. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ინტერნეტ ტექნოლოგიები. როდესაც რომელიმე კვანძი გამოდის მწყობრიდან, ინფორმაციის გადაცემას თავის თავზე იღებს სხვა კვანძი და ინფორმაციის მიწოდება ხდება ალტერნატიული გზებით.

გარდა ამისა, მართვის ყველა ოპერაცია უნდა იყოს ინტუიციურად გასაგები და მოსახერხებელი ოპერატორისათვის.

მართვის უსაფრთხოება. აქ იგულისხმება ადამიანის უსაფრთხოება. SCADA სისტემა ისეთნაირად უნდა აიგოს, რომ მისი გამოყენება იყოს ადამიანისათვის უსაფრთხო.

მონაცემთა დამუშავებისა და წარმოდგენის სიზუსტე. ეს მოთხოვნა ძალზე მნიშვნელოვანი იყო გასული საუკუნის 60–80-იან წლებში, როდესაც რთული იყო მაღალი სწრაფქმედებისა და სიზუსტის მიღწევა. დღეისათვის ტექნოლოგიები საგრძნობლად განვითარდა და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება არ წარმოადგენს დიდ პრობლემას.

სისტემის გაფართოების სიმარტივე. SCADA სისტემა უნდა იყოს ღია სისტემა, მისი გაფართოება შესაძლებელი უნდა იყოს მარტივად, მკვეთრი სტრუქტურული ცვლილებების გარეშე.

SCADA სისტემის გამოყენების სფეროები. ძალიან რთულია ისეთი სფეროს დასახელება, სადაც არ გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესის მართვის ავტომატიზირებული სისტემები. ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ ძირითადი სფეროები, სადაც აქტიურად ინერგება და გამოიყენება თანამედროვე SCADA სისტემები:

- ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების მართვა;
- სამრეწველო წარმოებები;

- ელექტროენერჯის წარმოება;
- წყალმომარაგება და წყლის გასუფთავება;
- გაზისა და ნავთობის მოპოვება, ტრანსპორტირება და განაწილება;
- კოსმიური ობიექტების მართვა;
- ტრანსპორტის მართვა (ტრანსპორტის ყველა სახე: საჰაერო, მეტრო, რკინიგზა, საავტომობილო, წყლის);
- ტელეკომუნიკაცია;
- სამხედრო სფერო.

თუმცა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია SCADA სისტემების გამოყენება საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების მართვაში.

დღეისათვის არსებული ყველა თანამედროვე საწარმო აღჭურვილია კომპიუტერული მართვის საშუალებებით. განვითარებულ ქვეყნებში ასევე შეინიშნება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ახალი ავტომატიზირებული მართვის სისტემების დანერგვა და არსებული სისტემების მოდერნიზაცია. უმეტეს შემთხვევებში აღნიშნული სისტემები იგება დისპეტჩერული მართვისა და მონაცემთა შეგროვების პრინციპზე. ნიშანდობლივია, რომ ინდუსტრიალურ სფეროში სულ უფრო ხშირად ხდება არსებული საწარმოების მოდერნიზაცია ახალი თაობის SCADA სისტემებით. ახალი მართვის სისტემების დანერგვით გამოწვეული ეფექტი, საწარმოს ტიპიდან გამომდინარე, განისაზღვრება ასობით ათასიდან მილიონობით დოლარამდე ყოველწლიურად.

დიდი ყურადღება ეთმობა ისეთი საწარმოების მოდერნიზაციას, რომლებიც დიდ ეკოლოგიურ საშიშროებას უქმნიან გარემოს (ქიმიური და ბირთვული საწარმოები). ასევე დიდი ყურადღება ეთმობა დასახლებული პუნქტებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საწარმოების მოდერნიზაციას (წყალგაყვანილობა, კანალიზაცია და ა.შ).

3. სტუ-ს წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის ზოგადი აღწერა.

ჩვეულებრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში SCADA სისტემას განიხილავენ წყალგამანაწილებელი კომპანიის ტექნოლოგიური პროცესის მონიტორინგისა და მართვის სისტემის სახით, რომლის მოქმედებაც მიმართულია წყლის ხარისხის ამდლებისაკენ და კომპანიის მატერიალური დანახარჯების შემცირებისაკენ. არის მრავალი პრაქტიკული დანიშნულების SCADA სისტემა, რომლებიც გამოიყენებიან ამ მიმართულებით.

წინამდებარე სამუშაოში არის მცდელობა SCADA სისტემის გამოყენებით დაძლეული იქნას მოხმარებლების პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მოხმარებული წყლის აღრიცხვასთან, მომჭირნობით ხარჯვასთან და, შესაბამისად, მატერიალური დანახარჯების შემცირებასთან.

წყლის მოხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს დანახარჯების შემცირებას წყლის მოხმარებაზე, მივდივართ დასკვნამდე, რომ მისთვის მნიშვნელოვანია:

- წყლის დისტრიბუტორი კომპანიისაგან მის მიერ მიღებული წყლის მოცულობის აღრიცხვა;
- საკუთარი ქვესტრუქტურების მიერ მოხმარებული წყლის მოცულობის აღრიცხვა;
- ქვესტრუქტურების მიერ წყლის მოხმარების მონიტორინგი;
- საკუთარი ქვესტრუქტურებისათვის წყლის მიწოდების მოცულობის მართვა.

მოხმარებელი საჭიროებს ქვესტრუქტურების მიერ წყლის მოხმარების შესახებ ინფორმაციის მიღებას დროის რეალურ რეჟიმში (წყლის მოხმარების მონიტორინგი), რათა მან გამოიმუშაოს ქვესტრუქტურების მიერ წყლის მოხმარების ტაქტიკა და მოახდინოს წყლის მოხმარების მოცულობის ოპერატიულად კორექტირება.

სისტემის აღრიცხვის ხელსაწყოების განლაგება უნდა მოხდეს ტერიტორიული განაწილების პრინციპით. ყველა სასწავლო თუ ადმინისტრაციულ კორპუსს უნდა ქონდეს შემაჯავლი მკვებავი მილის ხარჯის გაზომვის და აღრიცხვის შესაძლებლობა. ამდენად, წყლის ხარჯის აღრიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ საკონტროლო წერტილებში:

- ადმინისტრაციული კორპუსი - მე-9 სასწავლო კორპუსი;
- მე-3 სასწავლო კორპუსი;
- მე-4 სასწავლო კორპუსი;
- მე-8 სასწავლო კორპუსი;
- ადმინისტრაციული, მე-3, მე-4 და მე-8 სასწავლო კორპუსებისათვის ერთი საკონტროლო წერტილი;
- მე-6 სასწავლო კორპუსი;
- 1-ლი სასწავლო კორპუსი;
- მე-2 - მე-10 სასწავლო კორპუსები.

სისტემის აგების კონცეფცია. სტუ-ს ინფრასტრუქტურის და SCADA სისტემების ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგის და წყლის მოხმარების მართვის SCADA სისტემების კავშირის არხის განხორციელება შესაძლებელია:

- SCADA სისტემების საკუთარი ქსელური საკაბელო ინფრასტრუქტურის შექმნით;
- SCADA სისტემების საკუთარი ქსელური რადიო ინფრასტრუქტურის შექმნით;
- სტუ-ს არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

შედარებითი ანალიზი მოცემულია ცხრილ 3–ში.

ცხრილი 3

მეთოდი	დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
საკუთარი ქსელური საკაბელო ინფრასტრუქტურა	-მაღალი საიმედოობა -ასეთი ქსელის შექმნის დიდი გამოცდილება	-მაღალი ღირებულება, რაც ძირითადად განპირობებულია საკაბელე არხების უზრუნველყოფით და არა აღჭურვილობით
საკუთარი ქსელური რადიო ინფრასტრუქტურა	-დაბალი ღირებულება	-დაბალი საიმედოობა -შეიძლება პრობლემა შეიქმნას კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან, მიუხედავად იმისა, რომ ვიყენებთ არალიცენზირებად რადიო სიხშირეს -ასეთი ქსელის შექმნის გამოცდილების არ ქონა
სტუ-ს არსებული ქსელური ინფრასტრუქტურა	-საშუალო ღირებულება, რაც განპირობებულია დამატებითი აღჭურვილობის გამოყენების აუცილებლობით -სისტემის კონფიგურაციის მოქნილობა	-სამრეწველო ქსელის კომპიუტერული ქსელის ფორმატში გადაყვანის აუცილებლობა -კომპიუტერული ქსელის გამართულ ფუნქციონირებაზე დამოკიდებულება, რაც არ არის კრიტიკული რამდენადაც სისტემა არაა განკუთვნილი ოპერატიული მართვისათვის

ამდენად, უპრიანიაა სისტემის რეალიზაცია სტუ-ს ლოკალური კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურის გამოყენებით. გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ სტუ-ს ლოკალურ კომპიუტერულ ქსელურ ინფრასტრუქტურაში ჩართულია ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსი.

სტუ-ს ლოკალურ ქსელში (VLAN) უნდა განხორციელდეს ვირტუალური (ლოგიკური) ლოკალური ქსელი (LAN). VLAN (Virtual Local Area Network) არის მოწყობილობათა ჯგუფი, რომლებიც პირდაპირ ურთიერთქმედებენ არხის დონეზე, მიუხედავად იმისა,

რომ ფიზიკურ დონეზე ყველა ეს მოწყობილობა მიერთებულია სხვადასხვა კომპუტატორებთან. მოწყობილობები, რომლებიც არიან სხვადასხვა ვირტუალურ ქსელში, ერთმანეთს ვერ ხედავენ“, თუნდაც ისინი მიერთებულნი იყვნენ ერთი და იგივე კომპუტატორთან. ვირტუალურ ქსელში ჩართულ მოწყობილობებს შორის ურთიერთქმედება ხორციელდება მხოლოდ ქსელურ დონეზე. ვირტუალური ქსელის განხორციელება ითხოვს მმართველი კომპუტატორების გამოყენებას, რომლებიც დღეისათვის ფუნქციონირებენ სტუ-ს ლოკალურ ქსელში. VLAN ქსელის გამოყენება სწრაფქმედებისა და გამტარუნარიანობის თვალსაზრისით არავითარ შეზღუდვებს არ ადებს განსახორციელებელი SCADA სისტემების ფუნქციონირებას.

შესაძლებელია SCADA სისტემების საკომუნიკაციო არხის განხორციელება ჩვეულებრივი LAN ქსელის გამოყენებითაც. თუმცა ამ შემთხვევაში დგება ორი პრობლემა: საჭირო გახდება SCADA სისტემების საინჟინრო სადგურში უსაფრთხოების ანტივირუსული ღონისძიებების გატარება. და მეორე, ასეთ შემთხვევაში დგება ქსელური ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის და გადატვირთვის პრობლემა. ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია SCADA სისტემების ფუნქციონირებაში კომპრომისული გადაწყვეტის მიღებით. ჩვენი ამოცანისათვის სრულებით საკმარისია საათში ერთხელ 10-15 წმ-ის განმავლობაში წმ-ში ერთი მონაცემის სიზუსტით იქნას წამოღებული აღრიცხვის ხელსაწყოების ჩვენებანი. 10-15 სთ-ში მონაცემი საკმარისია იმისათვის, რომ დავადგინოთ თუ როგორი ხარჯი გვაქვს სთ-ების მიხედვით. რაც შეეხება წყლის ნაკადის მართვას, საერთოდ ვერ მოახდენს გავლენას ქსელის გამტარუნარიანობაზე.

ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც გავლენას ახდენენ SCADA სისტემის აღრიცხვის ხელსაწყოების და ქსელური კომპონენტების შერჩევაზე:

- აღრიცხვის ხელსაწყოებიდან ინფორმაციის აღების მექანიზმი როგორც წყლისათვის, ასევე ბუნებრივი აირისათვის სასურველია იყოს უნიფიცირებული, რამდენადაც სისტემის სინთეზისათვის შესაძლებელი იქნება უნიფიცირებული კომპონენტების გამოყენება;
- აღრიცხვის ხელსაწყოები არ უნდა მოითხოვონ ავტონომიურ კვებას, რამდენადაც დამატებით კვების წყაროები არა თუ გააძვირებენ სისტემის რეალიზაციას, ასევე სისტემის ექსპლუატაციის პერიოდში შექმნიან ორგანიზაციულ პრობლემებს;
- აღრიცხვის ხელსაწყოებიდან მიღებული ინფორმაციის შენახვა უნდა იყოს ენერგოდამოუკიდებელი.

ენერგოდამოუკიდებლობის განხორციელება სრულად SCADA სისტემისათვის ძვირადღირებული ღონისძიება იქნება, რამდენადაც მოითხოვს მრავალი

კომპონენტებისათვის, რომლებიც დიდ ტერიტორიაზეა გაფანტული, ავტონომიური კვების უზრუნველყოფას. ამდენად მოცემულ პროექტში შემოთავაზებულია კომპრომისული ვარიანტი, როცა აღრიცხვის ხელსაწყოებიდან აღებული ინფორმაციის შენახვა ხდება ლოკალურ დონეზე. შედეგად, სტაციონალური კვების შეწყვეტის შემთხვევაში SCADA სისტემის ფუნქციონირება შეწყდება, მაგრამ არ შეწყდება აღრიცხვის ხელსაწყოების ფუნქციონირება და მათგან მიღებული ინფორმაციის დამახსოვრება. სტაციონალური კვების აღდგენის შემთხვევაში, სისტემის საინჟინრო სადგურში გადმოიწერება შენახული წყლისა და ბუნებრივი აირის ლოკალურად შენახული მნიშვნელობანი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ვერ მოხდება მოხმარებული რესურსების მყისიერი ხარჯების დადგენა, მაგრამ მოხმარებული რესურსების დაბალანსება შესაძლებელია.

4. სტუ-ს წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის სტრუქტურა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წყლის მოხმარების საკონტროლო წერტილებად (შემავალი მიწები) შერჩეულია:

- ადმინისტრაციული კორპუსი - მე-9 სასწავლო კორპუსი;
- მე-3 სასწავლო კორპუსი;
- მე-4 სასწავლო კორპუსი;
- მე-8 სასწავლო კორპუსი;
- ადმინისტრაციული, მე-3, მე-4 და მე-8 სასწავლო კორპუსებისათვის ერთი საკონტროლო წერტილი;
- მე-6 სასწავლო კორპუსი;
- 1-ლი სასწავლო კორპუსი;
- მე-2 - მე-10 სასწავლო კორპუსები.

მოცემულ საკონტროლო წერტილებისათვის უნდა განხორციელდეს წყლის მოხმარების მონიტორინგი და წყლის მიწოდების მართვა. მართვაში იგულისხმება წყლის მიწოდების ნაკადის რეგულირება (ვენტილი გახსნილია 0%-დან 100%-მდე), წყლის მიწოდება შეწყვეტილია (ვენტილი გახსნილია 0%-ით).


წყლის მოხმარების აღრიცხვისათვის გამოიყენება წყლის მრიცხველი იმპულსური გამოსასვლელით, რომელიც დაკავშირებულია იმპულსების მთვლელთან. ამდენად, გვექნება წყლის მოხმარების დუბლირებული აღრიცხვა:

- უშუალოდ მრიცხველის ინდიკატორზე;
- გათვლილითი მნიშვნელობა, რომლისათვის საწყისი ინფორმაცია არის მრიცხველიდან მოწოდებული იმპულსების რაოდენობა.

იმპულსების მთვლედიდან ინფორმაცია RS-485 ინტერფეისით მიეწოდება გარდამქნელს, რომლის მოვალეობაა სამრეწველო ქსელის ფორმატი გარდაქმნას კომპიუტერული ქსელის ფორმატში. ეს უკანასკნელი განპირობებულია სტუ-ს არსებული კომპიუტერული ქსელის ინფრასტრუქტურის გამოყენების სურვილით, რამდენადაც იგი ფარავს სტუ-ს ყველა კორპუსს. სტუ-ს კომპიუტერულ ქსელში ჩართული იქნება პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ასრულებს საინჟინრო სადგურის მოვალეობას. საინჟინრო სადგურის ფუნქცია არის წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მონაცემთა ბაზაში შენახვა. საინჟინრო სადგურიდან ხდება აგრეთვე წყლის მიწოდების მოცულობის მართვა სტუ-ს სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსების დონეზე. მართვის პარამეტრების კონფიგურაციას ახდენს სისტემური ადმინისტრატორი, რომელიც მუშაობს საინჟინრო სადგურის პროგრამულ ინტერფეისთან. მართვის პარამეტრების კონფიგურირებაში იგულისხმება წყლის მიწოდების ნაკადის შეზღუდვა დროში ცალკეული კორპუსების მიხედვით.

წყლის მიწოდების ნაკადის შეზღუდვისათვის გამოიყენება 2-სვლიანი რეგულირებადი კლაპანი, რომელიც აღჭურვილია ელექტრული ამძრავით. ელექტრული ამძრავი ზოგადად არის ორი ტიპის: 3-პოზიციანი და ანალოგური მართვით. დასმული ამოცანისათვის მისაღებია ანალოგური მართვის ელექტრული ამძრავი, რომელიც ახდენს რეგულირებადი კლაპანის პროპორციულ მართვას, ანუ მის შესასვლელზე ძაბვის ან დენის დონის მიხედვით ხდება კლაპანის შესაბამისი პროცენტით გაღება ან დაკეტვა. ელექტრული ამძრავი მართვით სიგნალებს (ძაბვას ან დენს) იღებს ანალოგური გარდამქნელის მოდულიდან, რომელიც, თავის მხრივ RS-485 ინტერფეისით და LAN ქსელით უკავშირდება საინჟინრო სადგურს.

როგორც სისტემის სტრუქტურიდან ჩანს, 8 საკონტროლო წერტილიდან 7 განკუთვნილია წყლისა და ბუნებრივი აირის მოხმარების მონიტორინგისა და წყლის მიწოდების ნაკადის მართვისათვის, ხოლო 1 – მხოლოდ მონიტორინგისათვის. ეს უკანასკნელი არის ადმინისტრაციული, მე-3, მე-4 და მე-8 სასწავლო კორპუსებისათვის საკონტროლო წერტილი, რომლის მონაცემი გამოიყენება ცალკეულ კორპუსებში წყლის მოხმარების მაჩვენებლის დაბალანსებისათვის.



*ნახ. 10. სტუ-ს წყლისა და
ბუნებრივი მოხმარების
მონიტორინგისა და მართვის
SCADA სისტემის სტრუქტურა*

წყლის მრიცხველების შედარებითი ანალიზი. წყლის მრიცხველები კლასიფიცირდებიან მასში რეალიზებული გაზომვის ფიზიკური თვისებების მიხედვით. ცივი წყლის აღრიცხვისათვის მოცემული მომენტისათვის გამოიყენება ხელსაწყოები, რომლებიც რეალიზაციას უკეთებენ აღრიცხვის ოთხ მეთოდს: ტახომეტრიული, გრიგალური, ულტრაბგერითი და ელექტრომაგნიტური. ჩამონითვლილი მეთოდიდან ნებისმიერს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩამოთვლილი მეთოდებზე დაფუძნებული აღმრიცხავი ხელსაწყოების შედარებითი ანალიზი მოტანილია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4

ხელსაწყოს ტიპი	დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები	ხელსაწყოს დაყენებისათვის მილგაყვანილობის საჭირო სიგრძე	გაზომვის დიაპაზონი ცდომილებისას არაუმეტეს 2%, V_{max} (8...10მ/წმ)
ტახომეტრიული	- შედარებით იაფია -ავტონომიურობა (არ მოითხოვს კვების წყაროს) - ჩვენების სტაბილურობა -მონტაჟისა და მომსახურების სიმარტივე	-წყალში არსებული მექანიკური მინარევებისადმი მაღალი მგრძობიარობა -დაბალი მოხმარებისას ცუდი მგრძობიარობა -მომრავი დეტალები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას -არქივების წარმოებისას საჭიროა დამატებითი ელექტრონული ბლოკი	3-5Ду до 2-3Ду после	ტურბინული 1:20-1:150 ფრთიანი 1:10- 1:25
